



კლინიკა რუსთავი

შპს „კლინიკა რუსთავი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
ახსნა განმარტებითი შენიშვნები.....	7
ზოგადი ინფორმაცია.....	7
ანგარიშგების მომზადების საფუძველი	8
ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება	8
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
1. ფული და ფულის ეკვივალენტები	9
2. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9
3. სავაჭრო მოთხოვნები	9
4. ძირითადი საშუალებები	9
5. გადასახადები და შეღავათები	11
6. მიმდინარე ვალდებულებები	11
7. გრძელვადიანი სესხები.....	12
8. ამონაგების აღიარება	12
9. ხარჯები	13
10. საწესდებო კაპიტალი	13
კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული მოვლენების გავლენა კლინიკის საქმიანობაზე	14
ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „კლინიკა რუსთავი“

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		1 506 748	56 529
სავაჭრო მოთხოვნები	3	3 891 831	2 946 389
გადახდილი ავანსები		-	69 165
მარაგები		1 120 972	664 143
სხვა მიმდინარე აქტივები		96 306	122 959
სულ მიმდინარე აქტივები		6 615 857	3 859 185
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	6 143 236	6 070 233
არამატერიალური აქტივები		2 302	460
გრძელვადიანი აქტივები		6 145 539	6 070 693
სულ აქტივები		12 761 395	9 929 878
ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	6	1 254 609	764 227
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		2 104 622	1 850 793
სხვა ვალდებულებები		269 289	277 049
სულ ვალდებულებები:		3 628 520	2 892 069
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7	3 717 456	4 290 206
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3 717 456	4 290 206
სულ ვალდებულებები:		7 345 976	7 182 275
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 239 741	1 239 741
გაუნაწილებელი მოგება		4 175 679	1 507 862
სულ საკუთარი კაპიტალი		5 415 420	2 747 603
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები:		12 761 396	9 929 878

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

/თამაზ მოდებაძე/

სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს „კლინიკა რუსთავი“

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან		17 496 706	10 369 677
სხვა საოპერაციო შემოსავლები	5	229 231	40 819
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	5	1 069 559	260 511
სულ შემოსავლები		18 795 496	10 671 007
მარაგების ხარჯი		(5 427 042)	(2 530 848)
შრომის ანაზღაურება		(8 640 364)	(6 678 301)
საიჯარო ქირა		(45 150)	(45 600)
სხვა საერთო ხარჯი	9	(1 034 542)	(772 019)
სულ ხარჯები:		(15 147 098)	(10 026 768)
საოპერაციო მოგება (EBITDA)		3 648 398	644 239
საპროცენტო ხარჯები		(374 103)	(327 726)
ცვეთა და ამორტიზაცია	4	(676 690)	(666 904)
მოგება (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან		70 527	(166 329)
		(980 266)	(1 160 958)
მოგების გადასახადი		(315)	-
საანგარიშო პერიოდის მოგება (ზარალი)		2 667 817	(516 719)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

/თამაზ მოდებაძე/

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

შპს „კლინიკა რუსთავი“

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

საოპერაციო ნაწილი	2021 წელი	2020 წელი
ნაღდი ფული	2 797 798	1 972 845
საყოველთაო დაზღვევა	12 427 439	6 842 664
კერძო სადაზღვევოები	1 076 415	901 873
მუნიციპალიტეტები	115 061	74 434
სხვა საოპერაციო შემოსავლები	447 869	224 788
სულ შემოსული:	16 864 583	10 016 604
გაცემული ხელფასები	8 063 590	5 978 215
მედიკამენტები და სახარჯი მასალა	4 778 430	2 904 126
კომუნალური	592 731	377 845
სხვა საოპერაციო ხარჯი	531 874	399 490
სულ გასული:	13 966 626	9 659 677
	2 897 957	356 927
ფინანსური ნაწილი		
გადახდილი სესხი	(706 229)	(482 203)
აღებული სესხი	556 069	550 000
საკრედიტო ხაზის ცვლილება	(350 000)	350 000
გადახდილი პროცენტი	(374 103)	(327 726)
	(874 262)	90 071
საინვესტიციო ნაწილი		
შესყიდული სამედიცინო აპარატურა	(321 048)	(220 887)
შესყიდული სხვა ძირ.საშოალებები	(59 405)	(402 423)
სარემონტო სამუშაოები	(190 959)	(215 611)
	(571 412)	(838 920)
ფული პერიოდის დასაწყისში	56 529	450 482
კურსთაშორისი სხვაობის ეფექტი	(2 064)	(2 031)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება	1 450 219	393 953
ფული პერიოდის ბოლოს	1 506 748	56 529

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

/თამაზ მოდებაძე/

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს „კლინიკა რუსთავი“

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ კაპიტალი
2020 წლის 01 იანვარი	1 239 741	2 024 580	3 264 321
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)კაპიტალის სხვა ცვლილება		(516 720)	
		-	
2020 წლის 31 დეკემბერი	1 239 741	1 507 861	2 747 602
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)კაპიტალის სხვა ცვლილება		2 667 817	
2021 წლის 31 დეკემბერი	1 239 741	4 175 679	5 415 420

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

/თამაზ მოდებაძე/

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „კლინიკა რუსთავი“ (შემდგომში „კლინიკა“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, დაარსდა 2010 წლის 10 სექტემბერს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 416289947). კლინიკის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. რუსთავი, ნიკო ლომოურის ქ. 45. კლინიკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მრავალპროფილურ სტაციონალური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პაციენტებისთვის. კლინიკა წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

კლინიკის დამფუძნებლები არიან შემდეგი პირები:

- | | |
|---------------------------------|-----|
| • გოჩა ღონღაძე, 56001002254 | 50% |
| • ავთანდილ ღონღაძე, 35001036961 | 25% |
| • შოთა ღონღაძე, 35001096085, | 25% |

კლინიკა ახორციელებს სხვა ტიპის ეკონომიკურ საქმიანობასაც, როგორიცაა ფართების იჯარით გაცემა.

კლინიკაში ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები: ამბულატორია, რადიოლოგია, ლაბორატორია, სამეანო-გინეკოლოგია, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, რეანიმაცია, ქირურგია (მ.შ. ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ლაპარასკოპია) უროლოგია, ტრავმატოლოგია, თერაპია, ნევროლოგია, კარდიოლოგია, კორონაროგრაფია და ოტორინოლარინგოლოგია. პალიატიური, და პედიატრიული განყოფილებები. პანდემიის პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით ინფიცირებულების რიცხვის მკვეთრი მატების შემდეგ, 2021 წლის ოქტომბრიდან კლინიკაში გაიხსნა კოვიდ თერაპიის და კოვიდ რეანიმაციის განყოფილებები.

კლინიკაში საშუალოდ დასაქმებულია 580 ადამიანი. დასაქმებულთა შორის არიან:

- სხვადასხვა პროფილის ექიმები (კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის ნებართვით);
- უმცროსი ექიმები (კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი განათლებით);
- საშუალო მედპერსონალი, ექთნები და ექთნის დამხმარეები (კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი განათლებით);
- ადმინისტრაციის თანამშრომლები;
- დამხმარე პერსონალი (ტექნიკური პროფილის მქონე პერსონალი, სანიტრები და სხვა).

შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება კლინიკაში დამტკიცებული ტარიფებისა და სხვადასხვა დამფინანსებელი ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. კლინიკაში მოქმედი ტარიფები შედგენილია შიდა

სამედიცინო სტანდარტების საფუძველზე გასაწევი ხარჯების შესაბამისად. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება პაციენტის ან სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ.

შემოსავლების მხრივ მსხვილი დამფინანსებელია სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სამსახური (ყოფილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო), რომელიც შესრულებულ სამუშაოს კლინიკას უნაზღაურებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილების („საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“) პირობების შესაბამისად, აგრეთვე კლინიკა თანამშრომლობს კერძო სადაზღვევო კომპანიებთანაც.

კლინიკის ძირითად მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (რადიაციული უსაფრთხოების კუთხით)

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs, შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

კლინიკის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ნაშთები დამრგვალებულია ერთეულებამდე.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებისა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან.

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კლინიკა ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA). რომელიც განისაზღვრება, როგორც კლინიკის მოგება, მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, საპროცენტო შემოსავალი, საპროცენტო ხარჯი, წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან.

კლინიკა წინა საანგარიშო პერიოდებში აღრიცხვას აწარმოებდა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ადგილობრივი კანონმდებლობით თანახმად მსს ფასს სტანდარტებზე გადასვამდე, კლინიკას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კლინიკის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კლინიკის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში

ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

1. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს კლინიკის საბანკო ანგარიშებზე და სალაროში არსებულ თანხებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის, 31 დეკემბრის არსებული კურსით: 1 აშშ დოლარი = 3,0976 ეროვნული ლარი

2. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საწარმოს საადრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისათვის როგორც წინა პერიოდებში, ასევე მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გამოყენებულია საშუალო-შეწონილი მეთოდი.

3. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021
კერძო სადაზღვევო კომპანიები	521 075
ჯამრთელობის ეროვნული სააგენტო (საყოველთაო დაზღვევა)	3 037 983
მუნიციპალიტეტები და მერიები	21 322
სხვა ორგანიზაციები	210 011
პაციენტები	101 440
სულ სავაჭრო მოთხოვნები	3 891 831

4. ძირითადი საშუალებები

საწარმოს საადრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, საწარმო იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუალო მდგომარეობაში.

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებების კლასი	ნაშთი 31.12.2020	ზრდა	უკან დაბრუნ ება	ცვეთა	ნაშთი 31.12.2021
მიწის ნაკვეთები	154 784	-	-	-	154 784
კაპიტალური რემონტი	22 248	175 632		-	197 880
შენობები	2 661 800	-		129 074	2 532 726
ნაგებობები	59 380	6 780		3 315	62 845
მანქანა-დანადგარები	600 678	34 003		49 414	585 267
სამედიცინო ინვენტარი	2 249 029	512 698	7 262	432 994	2 321 471
ოფისის აღჭურვილობა	111 699	19 496		23 879	107 316
ავეჯი და სხვა ინვენტარი	111 113	8 189		22 242	97 060
სატრანსპორტო საშუალებები	15 757	-		3 151	12 606
ბიოლოგიური აქტივები	858	-		129	729
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	82 886	-		12 334	70 552
ჯამი:	6 070 233	756 798	7 262	676 531	6 143 236

კლინიკა წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდს. ახალი სტანდარტის ამოქმედების შემდეგ ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის მეთოდი არ შეცვლილა რადგან მსს ფასს 17.22 იძლევა აღნიშნული მოდელის გამოყენების შესაძლებლობას. ძირითადი საშუალებები ანგარიშგებაში აისახა ისტორიული ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით. კლინიკის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხევა. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმები წარმოდგენილია ცხრილში

ჯგუფის დასახელება	ჯგუფში შემავალი ძირითადი საშუალებები	ცვეთის ნორმა (%)
შენობები	შენობები და ნაგებობები	5
მანქანა დანადგარები	გათბობის და ვენტილაციის დანადგარები, გენერატორები, კონდიციონერები,	8
სამედიცინო აპარატურა	სამედიცინო დანიშნულების აპარატურა, მონიტორები, ინსტრუმენტები, დიაგნოსტიკის ტექნიკა, სამედიცინო დანიშნულების საწოლები	15
ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერები, მონიტორები, პრინტერები, სალარო აპარატები, სამეთვალყურეო კამერები, უწყვეტი კვების ბლოკები	20
ავეჯი და ინვენტარი	ავეჯი ოფისისთვის, სხვა სამედიცინო ავეჯი და სხვა ინვენტარი რომელიც არაა განკუთვნილი პაციენტისთვის	20

სატრანსპორტო საშუალებები	მსუბუქი და სატვირთი ავტომობილები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	იჯარით აღებულ შენობის რემონტზე კაპიტალიზებული სარემონტო მასალები და მუშების ხელფასი	15

2021 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები არ დადგენილა.

5. გადასახადები და შეღავათები

კლინიკის მიერ გადახდილი გადასახადების 95%> წარმოდგენილია საშემოსავლო გადასახადის სახით. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო დეკლარაციებში ასახული გადასახადის ოდენობით.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. “ესტონური მოდელით”. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება. ასევე ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს. საანგარიშო პერიოდში დივიდენდი არ გამოცხადებულა და აღნიშნული გადასახადით დასაბეგრი ოპერაციების წილი მთლიან გადახდილ გადასახადებში უმნიშვნელო იყო.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება გათავისუფლებულია ქონების გადასახადიდან, ხოლო სამედიცინო მომსახურების გაწევა გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადიდან ჩათვლის უფლების გარეშე.

პანდემიის პერიოდში, 2020 წლის მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით და 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით, კლინიკა სარგებლობდა საგადასახადო შეღავათებით, რაც გულისხმობდა თვეში 1500 ლარამდე ხელფასის გათავისუფლება კლინიკის მიერ ბიუჯეტში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადისგან. საგადასახადო შეღავათმა 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 170137 ლარი

6. მიმდინარე ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, კლინიკა ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური ვალდებულება კლინიკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, ამოიწურება ან დაიფარება. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო ვალდებულებები	31/12/2021	31/12/2020
სამედიცინო დანიშნულების საქონელი და მომსახურება	932,646	541,543

სხვა საქონელი და მომსახურება	321,963	222,683
სულ სავაჭრო ვალდებულებები	1,254,609	764,226

7. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გრძელვადიანი სესხები	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
სესხი ეროვნული ვალუტით	3,015,172	3,346,006
სესხი უცხოური ვალუტით	702,284	944,200
სულ გრძელვადიანი სესხები:	3,717,456	4,290,206

8. ამონაგების აღიარება

სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კლინიკა მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

სამედიცინო შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით. კლინიკის სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სადაზღვევო კომპანიებთან, სახელმწიფოსგან, ფიზიკური პირებისგან და სხვა კორპორატიული დებიტორებისგან მიღებულ შემოსავალს.

კლინიკის შემოსავალი ასევე მოიცავს სხვა საოპერაციო ეკონომიკურ საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს, როგორიცაა ფართის იჯარა და მედიკამენტების რეალიზაცია.

კლინიკის სხვა არასაოპერაციო შემოსავლები მოიცავს ჰუმანიტარულად მიღებულ საქონელს, მათ შორის კოვიდის ვაქცინაციისთვის მიღებულ ვაქცინების ღირებულებას, უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში ეროვნული ვალუტის გამყარებით მიღებულ შემოსავალს და პანდემიის პერიოდში მოქმედ საგადასახადო შეღავათებს.

საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლები 2021 წლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	17 496 706
შემოსავლები მედიკამენტების რეალიზაციიდან	204 970
სხვა საოპერაციო შემოსავლები	24 261
უსასყიდლოდ (ჰუმანიტარული) მიღებული სამედიცინო საქონელი და ვაქცინები	796 808
იჯარის ქირა	37 058
სსიპ აწარმოვ საქართველოში სესხის პროცენტის თანადაფინანსება	43 206
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	22 350

საშემოსავლო გადასახადის შედავათი

170 137

სულ შემოსავლები:

18 795 496

9. ხარჯები

კლინიკაში შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯების კლასიფიკაცია ხდება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ელ-ენერგიის ხარჯები	380 370
სატელეფონო და ინტერნეტის ხარჯები	17 250
წყალმომარაგების ხარჯები	96 879
გაზიფიკაციის (ბუნებრივი აირი) ხარჯები	112 719
დასუფთავება	1 208
სალარო აპარატის მომსახურება	120
მიმდინარე რემონტი	43 499
კომპიუტერის ხარჯები	9 871
საწვავის ხარჯები	24 850
საკანცელარიო ხარჯი	46 321
სამეურნეო ხარჯი	127 203
მომსახურების ხარჯი	134 957
საკომისიო ხარჯი	4 037
წარმომადგენლობითი ხარჯი	1 202
უსაბუთო ხარჯი (მოგების დეკლარაციისთვის)	1 005
მცირეფასიანი სამედიცინო საგნები	16 662
სხვა ხარჯები	15 846
ქონების გადასახადი	543
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	1 034 542

10. საწესდებო კაპიტალი

კლინიკის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კლინიკის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

კაპიტალში შენატანი საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა. პარტნიორთა გადაწყვეტილებით საანგარიშგებო პერიოდში დივიდენდები არ გაცემულა.

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული მოვლენების გავლენა კლინიკის საქმიანობაზე

2020 წელს კორონავირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ქვეყნის გარკვეულ მაჩვენებლებზე. მომავალზე გაუარესებულმა შეხედულებამ გამოიწვია სავალუტო ბაზრის არამდგრადობა რაც გამოიხატა ლარის მნიშვნელოვან გაუფასურებაში დოლართან და ევროსთან მიმართებაში. მნიშვნელოვნად ზოგიერთ შემთხვევაში რამოდენიმეჯერ გაიზარდა ფასები და მედიკამენტებზე და სახარჯ მასალებზე და სხვა პროდუქციაზე. ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა შეზღუდვები გადაადგილებაზე, დროის გარკვეულ პერიოდებში შეიზღუდა ან აიკრძალა კონკრეტული საქმიანობის სფეროები. პანდემიის საწყის ეტაპზე, ქვეყანაში ამოქმედებული მკაცრი შეზღუდვების გამო, კლინიკაში შეიზღუდა გეგმიური ოპერაციები, მკვეთრად გაიზარდა ფასები მედიკამენტებზე და სახარჯ მასალებზე, გაუფასურდა ეროვნულ ვალუტა და სხვა რამაც 2020 წელს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა კლინიკას.

2021 წელს მდგომარეობა დასტაბილურდა, მიუხედავად ინფიცირებული პაციენტების რიცხვის ზრდისა, მკაცრი შეზღუდვები შემსუბუქდა და საქმიანობის შეზღუდვები მხოლოდ კონკრეტულ საქმიანობებზე დარჩა. მიღებულმა შემოსავალმა გადაფარა პანდემიის დასაწყისში კოვიდ-თერაპიის და კოვიდ რეანიმაციის განყოფილებების მომზადებისთვის წინასწარ გაწეული ხარჯები. მთელი პანდემიის განმავლობაში 2021 წლის ბოლომდე კოვიდ განყოფილებები თითქმის სრული დატვირთვით მუშაობდა რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა კლინიკის შემოსავლები.

2022 წლიდან ახალი ომიკრონ შტამის გამოჩენის შემდეგ მძიმე პაციენტების რაოდენობამ მკვეთრად იკლო, პაციენტებში ეს შტამი უმეტესად მსუბუქად მიმდინარეობდა და პაციენტების ჰოსპიტალიზაციას აღარ საჭიროებდა, რამაც კლინიკაში კოვიდის განყოფილებების დახურვა გამოიწვია.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

/თამაზ მოდებაძე/